

**თბილისის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის მისაღები გამოცდების პროგრამა**

2026-2027

სასწავლო წლისათვის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2026-2027 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

1. თეოლოგია (სამაგისტრო პროგრამა – აკადემია);
2. თეოლოგია (საბაკალავრო პროგრამა – სემინარია);
3. ქრისტიანული ფსიქოლოგია (საბაკალავრო პროგრამა);
4. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა);
5. ხატწერა (საბაკალავრო პროგრამა);
6. დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია (საბაკალავრო პროგრამა);
7. საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) (საბაკალავრო პროგრამა).

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია მოწოდებულია მოამზადოს საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის საჭირო სასულიერო და სამეცნიერო კადრები.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტი შეიძლება გახდეს ეკლესიურად მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს.

**თბილისის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის თეოლოგიის სპეციალობაზე მაგისტრატურაში
(აკადემიაში) შემსვლელთათვის
(სამაგისტრო პროგრამა)**

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მაგისტრატურაში (აკადემიაში) მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მამაკაცები.

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. წმინდა წერილი (ზეპირი);
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი);
4. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);
5. უცხო ენა (ტესტირება).

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მაგისტრატურაში (აკადემიაში) შემსვლელებს მოეთხოვებათ ხუცური ტექტის გამართულად კითხვა.

**თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
ბაკალავრიატში შემსვლელთათვის
(საბაკალავრო პროგრამა)**

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში ბაკალავრიატის საფეხურის ყველა სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის – მფლობელი

ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარდება მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა. შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი);
3. უცხო ენა (ტესტირება).

ის აბიტურიენტები, რომლებიც სპეციალობად აირჩევენ **ხატწერას, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციას ან საეკლესიო არქიტექტურას (ხუროთმოძღვრებას)**, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა, დამატებით ჩააბარებენ გამოცდას ხატვაში.

ხატვა. მოცემულობა: თაბაშირის ორნამენტი. **მასალა:** სახატავი ფორმატის ქაღალდი, ფანქარი. **ქაღალდის ზომები:** მეოთხედი ფორმატი 43/30.

შენიშვნა: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბაკალავრიატის საფეხურზე (სემინარიაში) თეოლოგიის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ მამაკაცები.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში ნებისმიერ პროგრამაზე შემსვლელმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:

1. თხოვნა რექტორის სახელზე (დაიწერება საბუთების შეტანისას);
2. ავტობიოგრაფია (დაიწერება საბუთების შეტანისას);
3. განათლების მოწმობის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
4. ფოტოსურათი 3x4 (4 ცალი) ელექტრონული ვერსიით;

5. მოძღვრის დახასიათება-რეკომენდაცია (მოძღვრის მისამართისა და ტელეფონის მითითებით), დამოწმებული შესაბამისი ეკლესიის ბეჭდით. თბილისის სასულიერო აკადემიისა (თეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) და სემინარიაში (თეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) შემსვლელთათვის მოძღვრის დახასიათება ეპისკოპოსის რეზოლუციით უნდა იყოს დამოწმებული;

6. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი.

7. ამონაბეჭდი ვებგვერდიდან (naec.ge) ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ქულისა და საგამოცდო-საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე საბუთები მიიღება 2026 წლის 17 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

დისტანციურად საბუთები მიიღება 17 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით;
nugzar.samkharadze@academia.edu.ge

მისაღები გამოცდები ჩატარდება

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე 3 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით;

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისამართი:

თბილისი, სიონის ქუჩა 13/40.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით **ტელ.: 599-435-238**

ელ. ფოსტა: **sasuliero_akademia@yahoo.com**

tsas@academia.edu.ge

ვებგვერდი: **www.tsas.ge**

**თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მაგისტრატურაში
(აკადემიაში) მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა
საგანში ქართული ენა და ლიტერატურა**

ქართული ენა

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

ხმოვნები და თანხმოვნები. მარცვალი. ხმარებიდან გასული ასოები. სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები, რთული სიტყვები (კომპოზიტები). სინონიმები; ომონიმები; ანტონიმები; პარონიმები; დიალექტიზმები; არქაიზმები; ნეოლოგიზმები; ბარბარიზმები; ტავტოლოგია; კალკი.

ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები: სახელები: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი: რაობა, ჯგუფები, ბრუნება, საკუთარ სახელთა, რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი, ორი სახელის (მსაზღვრელ-საზღვრულის) ერთად ბრუნება, ზმნა, სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები მხოლობით და მრავლობით რიცხვში. ზმნისწინი. ზმნის დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, სერიები და მწკრივები, ქცევა, კონტაქტი, სახელზმნა – წარმოება (პრაქტიკული საკითხები).

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

წინადადება. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები, სინტაქსური წყვილები. სინტაქსურ ურთიერთობათა სახეები. წინადადების სახეები შინაარსისა და აგებულების მიხედვით. მარტივი, შერწყმული, რთული წინადადება და მათი სახეები. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. მართლწერისა და სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

ქართული ლიტერატურა

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

1. იაკობ ხუცესი - „შუშანიკის წამება“.
2. იოანე საბანისძე - „აბო თბილელის წამება“.
3. გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. შოთა რუსთაველი - „ვეფხისტყაოსანი“.
5. სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე სიცრუისა“: მემკვიდრის დაბადება და აღზრდა, ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „უგუნური მცურავი“, „უტკბესი და უმწარესი“, „მეფე და მხატვარი“, „მოდღვარი მელი“, „ოთხი ყრუ“, „მთიული და კაკლის ხე“, „სოფლის მაშენებელი“, „უსამართლო შირვან-შაჰი“, „ენით დაკოდილი“, „მეფე და ავსიტყვა“, „მაოხრებელი მკვდარი“, „ძუნწი და ოქრო“, „აქლემი და ვირი“, „კუ და მორიელი“, „უმეცარი დალაქი“, „ლოდის დამგორებელი“, „ვირი, კაჭკაჭი და მგელი“.
6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „ქართველთა უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (ბოლო ხუთი სტროფი), „სწავლა მოსწავლეთა“, „ჯვარცმის ამბავი“, „საქონლის შეკრები-სათვის“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყობა“, „ოდეს დატყობულმან უსჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარ ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან“, „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალთ არა ჩნდა, იმაზე თქმული“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი“.
7. ალექსანდრე ჭავჭავაძე - ლექსები: „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „ვაჰ, სოფელსა ამას“.

8. გრიგოლ ორბელიანი - ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „იარალის“, „ჩემი ეპიტაფია“, „ფსალმუნი“, პოემა „სადღეგრძელო“.

9. ნიკოლოზ ბარათაშვილი – ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „შემოდამება მთაწმინდაზე“, „ჩემი ლოცვა“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტადარი“, „სული ობოლი“; პოემა „ბედი ქართლისა“.

10. ილია ჭავჭავაძე – ლექსები: „ჩემი კალამო“, „პოეტი“, „ყვარლის მთებს“, „მას აქეთ, რაკი“, „ბაზალეთის ტბა“, „ქართველის დედას“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ლოცვა“; პოემები: „აჩრდილი“, „განდეგილი“; მოთხრობები: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია - ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“; წერილი „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“.

11. აკაკი წერეთელი – ლექსები: „პოეტი“, „ქებათა ქება“, „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ხატის წინ“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“; მოთხრობები: „ჩემი თავგადასავალი“, „ბაშიაჩუკი“.

12. ალექსანდრე ყაზბეგი – მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

13. ვაჟა-ფშაველა – ლექსები: „დამსეტყვე, ცაო“, „კაი ყმა“, „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „ღამე მთაში“, „სიმღერა“ („არც რა ტანთ მცვია, არც ფეხთა...“), „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“; პოემები: „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

14. დავით კლდიაშვილი – მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

საგამოცდო მითითებანი

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს საგამოცდო პროგრამაში შეტანილი ეპიკური ნაწარმოებების სიუჟეტები, ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (ვინაობა, პორტრეტი, ავტორისეული დახასიათება და სხვა), ტექსტში აღწერილი მოვლენების დრო და სამოქმედო გარემო.

აბიტურიენტს უნდა შეეძლოს მხატვრული ტექსტების ლექსიკის გაგება, ამასთანავე, ლირიკული ნაწარმოებების აზრობრივ და ემოციურ შინაარსში გარკვევა.

აბიტურიენტს მოეთხოვება, გამოავლინოს ნაწარმოებებში გამოკვეთილი სახეების, თხზულებათა თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგის, სიტუაციის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის შესატყვისი გააზრების უნარი; აგრეთვე: დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნება, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობა და ლიტერატურული ტექსტის მონაკვეთებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირის დამყარების უნარი.

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს და სწორად იყენებდეს ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებს: დრამა, ეპოსი, ლირიკა; ტრაგედია, კომედია, დრამა; აფორიზმი; ლექსი, ელეგია, სონეტი, პოემა, ლეგენდა, რომანი, მოთხრობა, ნოველა; ეპიგრაფი, პროლოგი, ეპილოგი, ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია, ფინალი; რითმა, რიტმი; სტროფი, ტაეპი; პერსონაჟი, ლირიკული გმირი, პორტრეტი; მონოლოგი, დიალოგი, ციტატა, პერიფრაზი; თემა, იდეა; პეიზაჟი. ტროპი, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, გაპიროვნება, ალეგორია, სატირა, იუმორი, ირონია, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.

აბიტურიენტმა სათქმელი უნდა გადმოსცეს გამართული ქართული სალიტერატურო ენით.

**ბილეთის ნიმუში ქართულ ენასა და ლიტერატურაში
მაგისტრატურაში (აკადემიაში) შემსვლელთათვის**

ქართული ენა

შეცდომების გასწორება და ტესტი (40 ქულა)

ა) ქვემოთ მოცემულ ტექსტში გაასწორეთ 20 შეცდომა და ხარვეზი და ისე გადაწერეთ, რომ მასში არც ერთი სხვა ცვლილება არ შეიტანოთ:

1. ქართლი არა ერთხელ აუჯანყდა არაბებს და ამ უკანასკნელთ არა ერთი ლაშქრობების მოწყობა დაჭირდათ მის ხელახლად დასამორჩილებლათ.
2. იშვიათათ დატყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურობა როგორც 736-738 წლებში აქ არაბთა სარდალმა მურვანმა დაატრიალა.
3. მურვანი ისედაც სასტიკი გულქვა ადამიანი იყო, რისთვისაც მას ქართველებმა „ყრუ“ შეარქვეს.
4. ახლა, მას ქართველების სამაგალითოდ დასჯა წყუროდა და ასედაც მოიქცა.
5. მურვან ყრუმ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამ გალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი.

ქართული ლიტერატურა

წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება (60 ქულა)

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი:

დავალება N 1

„წმინდა აბო თბილელის წამების“ პირველ თავში იოანე საბანისძე აღწერს იმ მძიმე ვითარებას, რომელმაც დაისადგურა ჩვენს ქვეყანაში არაბთა ძალმომრეობის შედეგად:

„ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ-და მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკით შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი, შიშითა განილევანი და ირყევანი, ვითარცა ლერწამნი ქარისაგან ძლიერისა აღძრულნი. არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სღვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშოვრებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.

აღნიშნული თავის დასასრულს კი ავტორი დასძენს:

„არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოვებად ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ – ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვს: „მოვიდოდინ აღმოსავალით და დასავალით და ინაჴ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჴამისთა და იაკობისთა“. აჴა ესერა, ქართლისაგა მკვდრთა აქუს სარწმუნოვებად და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ა) ყურადღებით წაკითხეთ ტექსტი და სწორი პასუხი შემოხაზეთ (2-2 ქულა):

1. ავტორი ამბობს, რომ არაბთა „მძლავრების“ მიუხედავად, ქართველთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ქრისტიანობას „ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა,

ჩუულებსაებრ მამულისა სლვისა“. რას გულისხმობს „ჩუულებსაებრ მამულისა სლვაჲ“?.

- A. მამულის ტრადიციული ცხოვრების გზის ერთგულებას;
- B. რა სარწმუნოებასაც საუკუნეების გზაზე მიჰყვებოდნენ, იმის დაცვას;
- C. ქრისტეს შიშის ხსოვნას.

2. მეორე მონაკვეთში საუბარია ბერძენთა და ქართველთა ურთიერთმიმართებაზე. რომელი ფაქტით დასტურდება ამ ურთიერთმიმართების დედააზრი?

- A. ქართველებიც ქრისტიანები არიან;
- B. არა მხოლოდ ბერძნებს, ქართველებსაც ჰყავთ წმინდანები;
- C. ქრისტიანობასთან საზიარებლად საქართველოში უცხოელებიც მოსულან.
- D. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, გააანალიზეთ ეს მონაკვეთი ქვემოთ მოყვანილი მითითებების მიხედვით. მიეცით მას თხზულების სახე (40 ქულა):

- მოცემულ მონაკვეთში იოანე საბანისძე არაბთა ძალმომრეობის შედეგად დაუძღურებული საქართველოს ბნელი სურათის დახატვის ფონზე რა პერსპექტივას სახავს ჩვენი ქვეყნის ფეხზე წამოდგომისა, გადარჩენისა?

- როგორ, რა ლოგიკით გამოკვეთს ავტორი იმ უნარს, რომელიც ისტორიულად მთავარ როლს ასრულებდა ქართველი ერის გადასარჩენად? რაში დავინახოთ ამის იმედი?

- რისი თქმა სურს იოანე საბანისძეს, როცა მიუთითებს, რომ დღევანდელი საქართველო ბიზანტიის ღირსების სიმაღლეზე დგას? რატომ მიაჩნია მას ჩვენი ქვეყანა წმინდანების დედად?

უპასუხეთ სხვა კითხვებსაც (4-4 ქულა):

1. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“: მოთხრობილია ზენონის თავგადასავალი. გაიხსენეთ, რატომ გადაიფიქრა ზენონმა „უკეთური კაცის“ მოკვლა? რას ნიშნავს და რასთანაა შედარებული „მონაგებთა დატევება“?

2. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“:

ვინ იყო ხვარაზმშას მიპარვით მოკვლის ინიციატორი და რა მოტივი ჰქონდა მას ამისათვის?

3. ალ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“:

რამ აიძულა ონისე, ელიარებინა, რომ ის იყო დამნაშავე მტრებისგან მოხვევთა გაჟლეტაში, როდესაც მისი დანაშაულის მოწმე აღარავინ იყო?!

4. ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“:

რატომ ურჩევნია ლელთ ღუნიას უწინდელი ღრო აწმყოს? რაზე მიგვანიშნებს მისი სიტყვები: „ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის“?

5. რომელ ფსალმუნს კითხულობს დასასჯელად მიმავალი წმინდა აბო თბილელი და რატომ?

6. რამდენი სამეფოსგან შედგებოდა ინდოეთი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით?

დავალება N 2

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“:

მეფე ერეკლე და მისი მსაჯული საქართველოს ბედს გულმტკიცნეულად „განსამართლებდენ“.

მეფის ფიქრით:

„შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახვივარ!
მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..“
... „აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება“.
... „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“.
... „ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“!

მსაჯულის, სოლომონ ლიონიძის, ფიქრით კი:
„ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
იცო, მეფეო, რომე ივერნი
ექმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?“...
... „განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“...
... „მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება? –
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიჰხვდების“!

ა) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და სწორი პასუხი შემოხაზეთ (2-2 ქულა):

1. როგორ გესმით ფრაზა: „რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“

- ა) დასუსტებული მამულის საყრდენად იქცეს;
- ბ) დაქუცმაცებული სამშობლო გააერთიანოს;
- გ) დაუძღურებულ მამულს ღირსეული მეფობა გაუწიოს.

2. რას გულისხმობს მსაჯული, როდესაც ბრძანებს: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“?

- ა) ერთა შორის ურთიერთობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ერთმორწმუნობას;
- ბ) როცა ერები ზნეობრივი ცხოვრების წესით განსხვავდებიან, მხოლოდ ერთმორწმუნობა სახელმწიფოებრივ ურთიერთობას სიკეთეს ვერ მოუტანს;
- გ) თუკი ხალხთა შორის არ არის სულიერ-ეთნიკური მსგავსება, იქ სარწმუნოება ვერაფერს გახდება.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მოცემული ტექსტი პოემიდან „ბედი ქართლისა“ და გააანალიზეთ ერეკლე მეფისა და მისი მსაჯულის პოზიციები ქვემოთ მოყვანილი მითითებების მიხედვით. მიეცით მას თხზულების სახე (40 ქულა):

- იმსჯელეთ, რა არგუმენტებს ასახელებს მეფე ერეკლე თავისი არჩევანის კეთილგონივრულობის დასამოწმებლად;
- იმსჯელეთ, რამდენად დამაჯერებელია სოლომონ მსაჯულის კონტრარგუმენტაცია;
- იმსჯელეთ, გამჟღავნებულია თუ არა ავტორის დამოკიდებულება ორივე პერსონაჟის პოზიციებთან დაკავშირებით. თუ მჟღავნდება – როგორ?
- თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

უპასუხეთ სხვა კითხვებსაც (4-4 ქულა):

1. წმინდა გიორგი მერჩულე, „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: რატომ შეიკრიბნენ სასულიერო პირები ჯავახეთს და ვინ იყო კრების ინიციატორი? ვინ გადაწყვიტა სადავო საკითხი და როგორ (გაიხსენეთ კონტექსტი)?

2. სულხან-საბა ორბელიანის, „სიბრძნე-სიცრუისა“:

წიგნის დასაწყისში ავტორი გვაცნობს მეფე ფინეზს. გაიხსენეთ, რა იყო ფინეზის მთავარი სატკივარი? რა მოიმოქმედა მეფემ; ვინ და რატომ დაუწუნა მას საქციელი?

3. აკაკი წერეთელი, „ბაში-აჩუკი“:

რატომ გადაემტერა აბდუმაჰილი გლახა ბაქრაძეს და რატომ დამეგობრდნენ შემდგომ?

4. ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“:

რის გამო დაუპირისპირდა თანასოფლელებს ჯოყოლა? როგორ ახსნა მან თავისი საქციელი?

5. რომელ წლებში დაიწერა წმინდა „შუშანიკის წამება“?

6. რამდენი თავისგან შედგება იოანე საბანისძის წმინდა „აბო თბილელის წამება“?

რით ვიხელმძღვანელოთ
ძველი ქართული ლიტერატურა

1. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (IX კლასი). შემდგენლები: მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ვ. როდონაია, თბ., 2003.
2. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. ნათაძემ, თბ., 1986.
3. ქართული მწერლობა, ტ. 1, 4, 7.
4. ქართული პოეზია, ტ. II-V.
5. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987.
6. გ. ალიბეგაშვილი, ვ. მალლაფერიძე, გ. მურღულია, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992.

ახალი ქართული ლიტერატურა

1. ქართული მწერლობა, ტ. 9, 11, 12, 16, 17.
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956; 1972. ტ. II, 2010.
3. ქართული ლიტერატურა (ოთხტომეული), ტომი II, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2013.

ქართული ენა

1. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა: V, VI, VII, VIII, IX კლასის სახელმძღვანელოები.
2. ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, 1997.
3. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა (აბიტურიენტთა დასახმარებლად), ნაწილი I-VII, 1997-2009.

მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა საგანში

წმინდა წერილი

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მაგისტრატურაში (აკადემია) სწავლის მსურველს მოეთხოვება წმინდა წერილის - ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ცოდნა. მას უნდა შეეძლოს ბიბლიური ტექსტის ძირითადი შინაარსის გადმოცემა გამართული სალიტერატურო ენით და საკვანძო საკითხების ზოგადი განმარტება.

საკითხები ძველი აღთქმიდან

1. სამყაროს შექმნა (დაბ. I თ; 2.1-4).
2. ადამიანის შექმნა და ნეტარი ცხოვრება ედემში (დაბ. 1.26- 29; 2.5-25).
3. ცოდვით დაცემა (დაბ. III თ.).
4. კაენი და აბელი (დაბ. 4.1-16).
5. კაენისა და სეითის მოღგმა; მათი შერევა (დაბ. 4.17-26; 6.1-7); წარღვნა (დაბ. 6.8-22; VII თ; 8.1-14).
6. ადამიანთა მოღგმა წარღვნის შემდეგ; ნოე და მისი შვილები (დაბ. 8.15-22; IX თ.).
7. ბაბილონის გოდოლი (დაბ. 11.1-9).
8. აბრაამის მოწოდება ღვთის მიერ და მისი გადასახლება ქანაანში (დაბ. 11. 27-32; 12.1-9).
9. აგარი და ისმაილი (დაბ. XVI თ.).
10. ღვთის აღთქმა აბრაამთან; წინადაცვეთა (დაბ. XVII თ.).
11. ისააკის დაბადება (დაბ. 21. 1-8). აბრაამის მიერ მორიას მთაზე შესრულებული მსხვერპლშეწირვა (დაბ. 22.1-19).
12. ისააკის შვილები - ესავი და იაკობი (დაბ. 25.20-34; XXVII თ.).
13. საიდუმლო კიბის ხილვა - იაკობის გამგზავრება მესოპოტამიაში (დაბ. XXVIII თ.).

14. იოსები; ძმების მიერ მისი გაყიდვა (დაბ. 30. 22-25; XXXVII თ.).
15. იოსების განდიდება ეგვიპტეში (დაბ. XXXIX, X, XI თავები).
16. იოსების შეხვედრა ძმებთან (დაბ. X II, X III, XIV თავები).
17. მოსე წინასწარმეტყველის შობა და აღზრდა. მოსე მიდიამის ქვეყანაში (გამ. II, III თავები).
18. მოსეს მიერ ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოყვანა. პასეჟი (გამ. XII თ.).
19. სჯულის მიღება სინას მთაზე. ათი მცნება (გამ. XIX თ; 20.1-21).
20. სპილენძის გველის აღმართვა უდაბნოში (რიცხ. 21.1-9); მოსეს გარდაცვალება (რჯლ. XXXIII, XXXIV თავები).
21. ისრაელიანების გადასვლა მდინარე იორდანეზე (ნავ. I, II, III, IV თავები).
22. იერიქონისა (ნავ. 5.13-15; VI თ.) და ჰალაის აღება (ნავ. VII თ; 8.1-29).
23. გაბაონის სასწაული (ნავ. IX თ; 10.1-27).
24. მსაჯული სამსონი (მსჯ. XIII, XIV, XV, XVI თავები).
25. რუთის ამბავი (I, II, III, IV თავები).
26. მღვდელმთავარი ელი და წინასწარმეტყველი სამოელი (I მეფ. I თ; 2.11-36; III თ.).
27. მეფობის შემოღება. მეფე საული (I მეფ. VIII, IX, X, XI თავები).
28. დავითის მეფედ გამორჩევა (I მეფ. XVI თ.); დავითი და გოლიათი (I მეფ. XVII თ.).
29. სოლომონის გამეფება (III მეფ. I, II, III თავები).
30. იერუსალიმის ტაძრის აგება (III მეფ. V, VI თავები).

საკითხები ახალი აღთქმიდან

1. იოანე ნათლისმცემლის მამის, ზაქარიას, ხარება (ლკ. 1.5- 25).
2. ქალწული მარიამის ხარება (ლკ. 1.26-38).
3. ქალწული მარიამი და მართალი ელისაბედი (ლკ. 1.39-45; 56); ყოვლადწმინდა მარიამის გალობა (ზეპირად) (ლკ. 1.46- 55).
4. იოანე ნათლისმცემლის შობა (ლკ. 1.57-66); ზაქარიას წინასწარმეტყველება (ლკ. 1.67-79).
5. მართალი იოსების ხარება (მთ. 1.18-25).
6. იესო ქრისტეს გენეალოგია (მთ. 1.1-17; ლკ. 3.23-38).
7. იესო ქრისტეს შობა (ლკ. 2.1-7); მწყემსების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემა (ლკ. 2.8-20).
8. იესო ქრისტეს წინადაცვეთა (ლკ. 2.21); მირქმა (ლკ. 2.22-38).
9. მოგვების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემა (მთ. 2.1-12); წმინდა ოჯახის გაქცევა ეგვიპტეში (მთ. 2.13-15); ბეთლემში ყრმათა ამოწყვეტა და წმინდა ოჯახის დაბრუნება ეგვიპტიდან (მთ. 2.16-23).
10. თორმეტი წლის იესო იერუსალიმის ტაძარში (ლკ. 2.41-52).
11. იოანე ნათლისმცემლის ქადაგება უდაბნოში (ლკ. 3.1-2; მთ. 3.1-10/მკ. 1.1-6/ლკ. 3.3-9; ლკ. 3.10-14; ლკ. 3.15-18/მთ. 3.11-12/მკ. 1.7-8; ინ. 1.6-8; ინ. 1.15-28).
12. იესო ქრისტეს ნათლისღება (მთ. 3.13-17/მკ. 1.9-11/ლკ. 3.21-22; ინ. 1.29-34).
13. იესო ქრისტეს გამოცდა უდაბნოში (მთ. 4.1-12/მკ. 1.12-13/ ლკ. 4.1-15).
14. იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები (ინ. 1.35-51; მთ. 4.18-22/ მკ. 1.16-22; მთ. 9.9-13/ლკ. 5.27-32).
15. იესო ქრისტეს პირველი სასწაული გალილეის კანაში (ინ. 2.1-12).
16. იესო ქრისტეს მიერ ტაძრიდან ვაჭრების განდევნა (ინ. 2.13-25).
17. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდემოსთან (ინ. 3.1-22).
18. იესო ქრისტეს საუბარი სამარიელ დედაკაცთან (ინ. 4.1-45).
19. იესო ქრისტე ნაზარეთის სინაგოგაში (ლკ. 4.16-30).
20. დავრდომილის განკურნება ბეთუზდაში (ინ. 5.1-16).

21. თორმეტი მოწაფის გამორჩევა (მთ. 10.1-4/მკ. 3.13-19/ლკ. 6.12-16) და მათი წარგზავნა საქადაგებლად (მთ. 10.5-42/მკ. 6.7- 13/ლკ. 9.1-6).
22. იესო ქრისტეს ქადაგება მთაზე: ცხრა ნეტარება (მთ. 5.3-12/ ლკ. 6.20-23).
23. იესო ქრისტეს ქადაგება მთაზე: ძველადღებულ მცნებათა სულიერი განმარტება (მთ. 5.21-48).
24. ასისტავის მსახურის განკურნება კაპერნაუმში (მთ. 8.5-13/ ლკ. 7.1-10).
25. ქვრივი ღვთაყვანისმცემლის გარდაცვლილი ძის აღდგენა ნაინში (ლკ. 7.11-17).
26. გერგესელი (გადარინელი) ეშმაკულის განკურნება (მთ. 8.28-34/მკ. 5.1-20/ლკ. 8.26-39).
27. იაიროსის გარდაცვლილი ასულის აღდგენა და სისხლმდინარე ღვთაყვანისმცემლის განკურნება (მთ. 9.18-26/მკ. 5.21-43/ლკ. 8.40-56).
28. იოანე ნათლისმცემლის შეპყრობა (მთ. 14.3-5/მკ. 6.17-20/ლკ. 3.19-20) და ჰეროდეს მიერ მისთვის თავის მოკვეთა (მთ. 14.6-13/მკ. 6.21-29).
29. ქანანელი ღვთაყვანისმცემლის ასულის განკურნება (მთ. 15.21-28/ მკ. 7.24-30).
30. სიმონ-პეტრეს მიერ ღვთის ძედ იესოს აღიარება (მთ. 16.13- 20/მკ. 8.27-30/ლკ. 9.18-22); იესო ქრისტეს ფერისცვალება (მთ. 17.1-13/მკ. 9.2-15/ლკ. 9.28-36).
31. იესო ქრისტე და მრუშობის გამო დაკავებული ღვთაყვანი (ინ. 8.1-11).
32. ბრმადშობილის განკურნება (ინ. 9.1-41).
33. ათი კეთროვნის განკურნება (ლკ. 17.11-19).
34. ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა (ინ. 11.1-46).
35. იესო ქრისტე ბეთანიაში; მარიამის მიერ ნელსაცხებლის ცხება (ინ. 12.1-11).
36. იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში (მთ. 21.1-11/ მკ. 11.1-11/ლკ. 19.29-40; ლკ. 19.41-44; ინ. 12.12-19).
37. საიდუმლო სერობა: პასექის სერობის მომზადება (მთ. 26.17-20/მკ. 14.12-17/ლკ. 22.7-14); ცილობა მოწაფეთა შორის (ლკ. 22.24-30); ფეხთბანა (ინ. 13.4-20); იესო ქრისტე გამცემის შესახებ (მთ. 26.21-25/მკ. 14.18-21/ლკ. 22.21-23/ინ. 13.21-30); წმინდა ზიარების საიდუმლოს დაწესება (მთ. 26.26-29/მკ. 14. 22-25/ლკ. 22.19-20).
38. იესო ქრისტეს ლოცვა გეთსიმანიის ბაღში (მთ. 26.36-46/ მკ. 14.32-42/ლკ. 22.39-46) და მისი შეპყრობა (მთ. 26.47-56/მკ. 14.43-52/ლკ. 22.47-53/ინ. 18.2-12).
39. იესო ქრისტე ანა მღვდელმთავრის სამსჯავროზე (ლკ. 22.54; ინ. 18.12-14; 19-24).

40. იესო ქრისტე კაიაფა მღვდელმთავრის სამსჯავროზე (მთ. 26.57-68/მკ. 14.53-65; ლკ. 22.66-71).
41. იესო ქრისტე პონტოელი პილატეს (მთ. 27.1-2; 11-14/მკ. 15.1- 5/ინ. 18.28-38), ჰეროდესა (ლკ. 23.8-12) და ისევ პონტოელი პილატეს წინაშე სამსჯავროზე (მთ. 27.15-26/მკ. 15.6-15/ლკ. 23.13-25/ინ. 18.39-40; 19.1-16).
42. იესო ქრისტეს გოლგოთისკენ სვლა და ჯვარცმა (მთ. 27.27- 50/მკ. 15.16-37/ლკ. 23.26-46; ინ. 19.17-30). მაცხოვრის შვიდი სიტყვა ჯვრიდან (ლკ. 23.34; ლკ. 23.43; ინ. 19.26-27; მთ. 27.46/ 26 მკ. 15.34; ინ. 19.28; ინ. 19.30; ლკ. 23.46).
43. იესო ქრისტეს აღდგომა და მისი გამოცხადება მარიამ მაგდალელის მიმართ (მთ. 28.1-10; მკ. 16.9-11; ინ. 20.1-18); საფლავის მცველების მოსყიდვა (მთ. 28.11-15).
44. იესო ქრისტეს გამოცხადება ემაუსის გზაზე (მკ. 16.12-13; ლკ. 24.13-35).
45. იესო ქრისტეს აღდგომა და მისი გამოცხადება მოწაფეთა მიმართ (ინ. 20.24-29; ინ. 21.1-14).
46. იესო ქრისტეს მიერ პეტრეს მოწოდება მომავალი სამოციქულო მსახურებისთვის (ინ. 21.15-25).
47. იესო ქრისტეს ამაღლება (ლკ. 24.50-53; მკ. 16.19-20; საქ. 1.6-11).
48. იუდას თვითმკვლელობა (მთ. 27.3-10); წმინდა პეტრე მოციქულის სიტყვა (საქ. 1.15-22) და იუდას ნაცვლად მათათას არჩევა (საქ. 1.23-26).
49. სულიწმინდის გარდამოსვლა მოციქულებზე იერუსალიმში (საქ. 2.1-13).
50. წმინდა პეტრე მოციქულის ქადაგება (საქ. 2.14-36) და სამი ათასამდე კაცის ნათლისღება (საქ. 2.37-41).
51. ანანია და საფირა (საქ. 5. 1-11).
52. მთავარდიაკონ სტეფანეს შეპყრობა (საქ. 6.8-15), მისი ქადაგება სინედრიონის წინაშე (მხილებითი ნაწილი, საქ. 7.51- 53) და მოწამებრივი აღსასრული (საქ. 7.54-60).
53. ფილი პეს მსახურება სამარიამი (საქ. 8.5-8); სიმონ მოგვის ამბავი (საქ. 8.9-25).
54. სავლეს გამგზავრება დამასკოში, მისი მოქცევა (საქ. 9.1-9) და ნათლისღება (საქ. 9.10-19).
55. კორნელიუს ასისტავის მოქცევა (საქ. 10.1-48).
56. ჰეროდე მეფის მიერ იაკობ მოციქულის მოკვლა და პეტრეს შეპყრობა (საქ. 12.1-5); ანგელოზის მიერ პეტრეს გათავისუფლება (საქ. 12.6-17).
57. ბარნაბასა და სავლეს გამორჩევა (საქ. 13.1-5); პროკონსულ სერგი-პავლეს მოქცევა (საქ. 13.6-12).

58. წმინდა პავლე მოციქულის მიერ მკელობლის განკურნება (საქ. 14.8-10); მოციქულთა გაღმერთებისა და მსხვერპლის შეწირვის მცდელობა (საქ. 14.11-18).

59. მოციქულთა კრება იერუსალიმში (საქ. 15.1-35).

60. წმინდა პავლე მოციქული ათენში (საქ. 17.15-21); ქადაგება არეოპაგში (საქ. 17.22-34).

ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.
2. ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2015.
4. ძველი ქართული ახალი აღთქმად სქოლიოებით, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2017.
5. ახალი აღთქმა «ოთხთავი, მოციქულთა საქმენი, კათოლიკე ეპისტოლენი», საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2016.
6. ბიბლიის განმარტებანი Толковая Библия Лопухина А. П. წიგნი I, გამომცემელი რედაქტორი: დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, 2000.
7. ბიბლიის განმარტებანი Толковая Библия Лопухина А. П. წიგნი II, გამომცემელი რედაქტორი: დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, 2000.
8. წმიდა ბასილი დიდი, ჰომილიები ექვსი დღისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობანი დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბილისი, 2011.
9. წმიდა გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმიდლისეული (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კოპლატაძისა) ბერძნული ტექსტიურით, თბილისი, 2010.
10. წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისა, წიგნი I, თბილისი, 2014.
11. წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისა, წიგნი II, თბილისი, 2014.
12. წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოვანეს სახარებისა, თბილისი, 2018.

13. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტება, თბილისი, 2012.

14. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მარკოზის სახარების განმარტება, თბილისი, 2012.

15. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება, თბილისი, 2012.

16. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს სახარების განმარტება, თბილისი, 2012.

17. სამოციქულოს განმარტება I, განმარტება სამოციქულოსი, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2011.

საგამოცდო ბილეთებში სამ-სამი საკითხია: პირველი - ძველი აღთქმიდან, მეორე და მესამე - ახალი აღთქმიდან.

საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. სამყაროს შექმნა (დაბ. I თ; 2.1-4).
2. სიმონ-პეტრეს მიერ ღვთის ძედ იესოს აღიარება (მთ. 16.13- 20/მკ. 8.27-30/ლკ. 9.18-22); იესო ქრისტეს ფერისცვალება (მთ. 17.1-13/მკ. 9.2-15/ლკ. 9.28-36).
3. წმინდა პავლე მოციქული ათენში (საქ. 17.15-21); ქადაგება არეოპაგში (საქ. 17.22-34).

მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა საგანში ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, უნდა შეეძლოს აზრის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

საგამოცდო საკითხები ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში მაგისტრატურაში (აკადემიაში) შემსვლელთათვის

1. წმ. წერილი და წმ. გარდამოცემა.
2. დოგმატი ყოვლადწმინდა სამების შესახებ.
3. სწავლება მამა ღმერთის შესახებ.
4. სწავლება ძე ღმერთის შესახებ.
5. სწავლება სულიწმინდის შესახებ.
6. ღვთის ბუნების თვისებები, ღვთის სამი პირის (გვამოვნების ანუ ჰი პოსტასის) პიროვნული (გვამოვნებითი ანუ ჰიპოსტასური) თვისებები.
7. ღმერთი - სამყაროს შემოქმედი.
8. ღმერთი - შემოქმედი და განმგებელი ანგელოზებისა.
9. სწავლება ხილული სამყაროს შექმნის შესახებ.
10. ადამიანის შექმნა.
11. ადამიანი - ხატება და მსგავსება ღვთისა.
12. ადამიანის მდგომარეობა ცოდვით დაცემამდე.
13. ადამიანის დაცემა და ცოდვის შედეგები.
14. განგებულება ადამიანის გამოსწავლის შესახებ.
15. სწავლება იესო ქრისტეს შესახებ.
16. იესო ქრისტეს ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის გამომხსნელობითი (სოტერიოლოგიური) მნიშვნელობა.

17. მოძღვრება მკვდართა აღდგომის შესახებ.
18. სწავლება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, ანუ საეკლესიო ესქატოლოგია.
19. სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ.
20. სწავლება ეკლესიის შესახებ.
21. სწავლება ხატთა თაყვანისცემის შესახებ.
22. ეკლესიის საიდუმლონი:
 - ნათლისღება,
 - მირონცხება,
 - სინანული,
 - ზიარება,
 - ქორწინება,
 - მღვდლობა,
 - ზეთის კურთხევა.
23. ზეციური იერარქია და საეკლესიო იერარქია.
24. საზოგადო და კერძო ღვთისმსახურების სახეები (აბიტურიენტი უნდა ერკვეოდეს ღვთისმსახურების ძირითად საკითხებში).
25. აბიტურიენტი გამართულად უნდა კითხულობდეს ხუცური ანბანით დაწერილ ტექსტს; ძალიან კარგად უნდა ესმოდეს ძვ. ქართულ ენაზე დაწერილი ტექსტის შინაარსი.

ლიტერატურა:

1. წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ე. ჭელიძემ; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2000 წ.
2. საქართველოს ეკლესიის 1989 წლის კალენდარი, გვ. 103-193.
3. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, თბილისი, 1994.
4. მართლმადიდებლური კატეხიზმო, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2011.
5. პროტოპრეს. მიქაელ პომაზანსკი - დოგმატური ღვთისმეტყველება, თბილისი, 2005.

საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. წმ. წერილი და წმ. გარდამოცემა.
2. ღმერთი - შემოქმედი და განმგებელი ანგელოზებისა.
3. ქორწინების საიდუმლო.

საგამოცდო საკითხები ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში

ბაკალავრიატის ყველა სპეციალობაზე შემსვლელთათვის

1. რელიგია და მისი დანიშნულება. საეკლესო სჯული.
2. რას ნიშნავს „ქრისტიანობა“ და რა მოძღვრებას გულისხმობს იგი (არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ აღთქმას შორის).
3. საღვთო გამოცხადება, საღვთო გარდამოცემა.
4. საღვთო წერილის შედგენილობა, ღვთივსულიერება, კანონიკური და არაკანონიკური წიგნები, აპოკრიფები, ავტორები, სამწერლობო ენა.
5. წინასწარმეტყველთა და საკვირველბათა არსი.
6. „მრწამსი“ - ზოგადი განმარტება.
7. შესაქმის ექვსი დღე.
8. ადამიანის შექმნა.
9. სწავლება სამოთხის შესახებ.
10. პირველქმნილი ცოდვა.
11. სწავლება ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოსნის შესახებ.
12. მაცხოვრის განკაცების გამომხსნელობითი (სოტერიოლოგიური) მნიშვნელობა. სულიწმინდის გარდამოსვლა და ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნება („მარტვილია“, ანუ სულთმოფენობა).
13. სწავლება ღვთისმშობლის შესახებ.

14. ჯვრის საიდუმლოს საეკლესიო განმარტება.

15. შვიდი საეკლესიო საიდუმლო:

- ნათლისღება,
- მირონცხება,
- სინანული,
- ზიარება,
- ქორწინება,
- მღვდლობა,
- ზეთის კურთხევა.

16. ათი მცნება.

17. ცხრა ნეტარება.

18. უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები:

ბრწყინვალე აღდგომა; ათორმეტთაგან მოძრავნი:

- ბზობა;
- ამაღლება;
- სულთმოფენობა;

19. ათორმეტთაგან უძრავნი:

- ქრისტეშობა;
- განცხადება – იესო ქრისტეს ნათლისღება;
- მირქმა;
- ხარება;
- ფერისცვალება;
- მარიამობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება;
- ღვთისმშობლობა – ყოვლადწმინდა ღვთის მშობლის შობა;
- ჯვართამაღლება;
- ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება;

20. დიდი ღღესასწაულები:

- წინადაცვეთა უფლისა;
- წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა;
- წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისცვეთა;
- პეტრეპავლობა;
- სვეტიცხოვლობა - კრება ათორმეტთა მოციქულთა;
- ნინობა.

21. ღღესასწაული საუფლოდსა კურთისა და მრონმდინარე სუეტისა - სვეტიცხოვლობა და საფარველი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა.

22. წმინდანთა და სიწმინდეთა თაყვანისცემა.

23. ხატთა თაყვანისცემა.

24. ლოცვა, მარხვა და მათი მნიშვნელობა.

25. ლოცვა: „მამაო ჩვენო“ და მისი განმარტება.

26. ლოცვა „მეუფეო ზეცათაო“ და მისი განმარტება.

27. 50-ე ფსალმუნი;

28. 90-ე ფსალმუნი.

29. ტროპარები (დასდებლები):

- მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი („უხრწნელსა ხატსა შენსა...“);
- ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა („წმიდისაგან ხატისა შენისა...“);
- „ღირს არსი“;
- წმ. ნინოს ტროპარი (დასდებელი);
- წმ. გიორგის ტროპარი (დასდებელი);
- წმ. ნიკოლოზის ტროპარი (დასდებელი);

30. სამი საღვთისმეტყველო სათნობა;

აბიტურიენტს ზეპირად მოეთხოვება ათი მცნება, ცხრა ნეტარება, „მამაო ჩვენო“ და მრწამსი. ასევე აბიტურიენტი უნდა ერკვეოდეს ღვთისმსახურების ძირითად საკითხებში და გამართულად კითხულობდეს ხუცურ ტექსტს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკლესიის 1989 წლის კალენდარი, გვ. 103-193.
2. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, თბილისი 1994.
3. მართლმადიდებლური კატეხიზმო, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2011.

საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. რჯული-რელიგია; ქრისტიანობა.
2. შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
3. ადამიანის შექმნა და ცოდვით დაცემა.

მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა საგანში საქართველოს ისტორია

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლის მსურველს მოეთხოვება საქართველოს ისტორიის ცოდნა ქვემოთ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში. უნდა შეეძლოს არგუმენტირებული მსჯელობა საკვანძო საკითხებზე, აზრის მკაფიოდ და დასაბუთებულად გადმოცემა.

გამოცდა ტარდება ზეპირი ფორმით.

საგამოცდო საკითხები საქართველოს ისტორიაში მაგისტრატურაში (აკადემიაში) შემსვლელთათვის

1. ქართველი ხალხის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში.
2. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი (უცხოური და ძვ. ქართული წყაროები; თანამედროვე ისტორიოგრაფიული პოზიციები).
3. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები (დიაოხი, კოლხა); ბერძენი მწერლების ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ.
4. ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო; ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა.
5. საქართველო-რომის ურთიერთობები ანტიკურ ხანაში: პომპეუსის ქართლსა და კოლხეთში ლაშქრობის მიზეზები; ფარსმან I და ფარსმან II.
6. წარმართობა საქართველოში და ანტიკური ხანის ქართული კულტურა.
7. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება: საქართველო - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა; მოციქულები და საქართველო; პირველი ქრისტიანული თემები საქართველოში; მოციქულთა სწორი წმ. ნინო;
8. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს.-ის II ნახევარში.
9. ქართლი VI საუკუნეში (მეფობის გაუქმება, ქართლის საერისმთავროს შექმნა).
10. დიდი საეკლესიო განხეთქილება ამიერკავკასიაში. დიოფიზიტური ქართლის დაპირისპირება მონოფიზიტურ სომხეთთან (წყაროები).

11. ბიზანტიის იმპერია და საქართველო VII საუკუნის პირველ ნახევარში (ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა).
12. არაბების პირველი გამოჩენა საქართველოში; „დაცვის სიგელი“ ქართლში, არაბები დასავლეთ საქართველოში.
13. მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში. წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე. ამირას ხელისუფლება თბილისში.
14. ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა VIII-IX საუკუნეებში.
15. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის: დავით კურაპალატი, იოანე მარუშისძე, ბაგრატ III კურაპალატი - საქართველოს გაერთიანების დასაწყისი.
16. ქართული კულტურა IX-XI საუკუნეებში. საზღვარგარეთული სამონასტრო ცენტრები (საბაწმინდა, სინას მთა, ათონი, შავი მთა).
17. წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის რეფორმები.
18. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.
19. საქართველო XII საუკუნის 30-50-იან წლებში (დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები).
20. საქართველო XII საუკუნის 70-90-იან წლებში (გიორგი III, თამარ მეფე).
21. სახელმწიფო მმართველობა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში XII-XIII საუკუნეებში.
22. საქართველოს კულტურა XII-XIII საუკუნეებში.
23. რუსუდანის მეფობა. ჯალალ ედდინის ლაშქრობა, მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა.
24. მონღოლთა ბატონობა საქართველოში (ცოტნე დადიანი; ორმეფობა; მონღოლების მიერ საქართველოს აღწერა; დემეტრე II).
25. საქართველო XIV საუკუნის I ნახევარში.
26. საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალის დროს (1335 წ.).
27. ჭულევის საკანონმდებლო კრება (1381-1386 წწ.).
28. საქართველო XIV ს.-ის II ნახევარში, თემურ-ლენგის შემოსევები.
29. ალექსანდრე I-ის რეფორმები. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო.

30. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად (გიორგი VIII; ერთიანი სამეფოს დაშლის საგარეო და საშინაო მიზეზები). პროვინციული სამეფოები და პროვინციული მეფეები.

31. ცაიშ-ბედიის შეკრება (1470-1474წწ.).

32. ქართული სამეფო-სამთავროები XVI საუკუნის პირველ ნახევარში (ლუარსაბ I, ბაგრატ III, ბიჭვინთის საეკლესიო კრება (1543-1549 წწ.), ამასიის ზავი და მისი გამოცხადებული საქართველოსთვის).

33. ქართული სამეფო-სამთავროები XVI საუკუნის მეორე ნახევარში.

34. წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, წმინდა მეფე ლუარსაბ II.

35. გაორებული ქართველი მოღვაწენი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში.

36. ვახტანგ VI (კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ელჩობა ევროპაში, ვახტანგ VI და პეტრე I; საკანონმდებლო შეკრებანი ვახტანგ VI-ის კარზე (1706-1709 წწ.).

37. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში – „ოსმალთა“ და „ყიზილბაშთა“.

38. დასავლეთ საქართველო XVIII ს-ში. სოლომონ I; იმერეთის საეკლესიო კრება (1759 წ.); საქართველოს გაერთიანების მცდელობა 1790 წ., ივერიელთა ერთობის ტრაქტატი.

39. გეორგიევსკის ტრაქტატიდან საქართველოს ანექსიამდე (1783 წლის ტრაქტატი, აღა-მაჰმად ხანის შემოსევა, გიორგი XII-ის ნოტა).

40. ქართული კულტურა XVII-XVIII საუკუნეებში.

41. 1801 წლის მანიფესტი და რუსული მმართველობის დამყარება აღმოსავლეთ საქართველოში.

42. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ.

43. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსობის დაწესება.

44. ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ XIX საუკუნის I ნახევარში.

45. ბატონყმობის გაუქმება. XIX ს. 60-70-იანი წლების რეფორმები.

46. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. თერგდალეულები.

47. ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ავტოკეფალიის აღდგენა. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II.

48. დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში.

49. საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში.

50. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

51. ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ 1921-24 წლებში.

52. საქართველოს ეკლესია 1921-27 წლებში. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი.

53. მასობრივი რეპრესიები საქართველოში 1920-30-იან წლებში.

54. საქართველო II მსოფლიო ომში.

55. საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარში (1956 წ. 9 მარტი, 1978 წლის გამოსვლები საქართველოში).

56. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX საუკუნის 80-იან წლებში (1989 წლის 9 აპრილი).

57. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. პირველი მრავალპარტიული არჩევნები, დეკემბერ-იანვრის მოვლენები.

58. 1995 წ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება.

59. ინსპირირებული კონფლიქტები საქართველოში 1990-იან წლებში.

60. საქართველო 2003-2016 წლებში.

61. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 2000-2016 წლებში.

62. XX საუკუნის ქართული კულტურა.

ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1947.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958.
3. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, X-XI კლასი, თბ., 2000.
4. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი, თბ., 1991.
5. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009.
6. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარი, 1998.

7. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს დედაეკლესია, თბ., 2006.
8. ს. ვარდოსანიძე, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. თბ., 2008.
9. საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, თბ., 1997.
10. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001.
11. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე (ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე და სხვ.), ილია ანთელავას რედაქციით. თბ., 1996.
12. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, 1801-1921;
თბ., 1999.
13. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე: [ავტ.: ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, ღიმიტრი შველიძე და სხვ.]; თსუ. თბილ. უნ-ტის გამ-ბა: არტანუჯი, თბ., 2003.
14. საქართველოს ისტორია, ტ. I, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2006.
15. საქართველოს ისტორია, ტ. II, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2008.
16. თამაზ ბერაძე, მანანა სანაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 2003.
17. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე), თბ., 2006.
18. მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.), თბ., 2004.
19. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ., 2010;
20. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. I, თბ., 2003;
21. <http://meufeanania.info/wp-content/uploads/2014/01/saeklesio-samartali-kanonebi.pdf>
22. <http://meufeanania.info/wp-content/uploads/2014/01/41.-saqarTvelos-saeklesio-kanonebis-krebuli-1-390.pdf>
23. მეუფეანანია.ინფო წიგნები – მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) წიგნები.

საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი (უცხოური და ძვ. ქართული წყაროები; თანამედროვე ისტორიოგრაფიული პოზიციები).
2. ქართული სამეფო-სამთავროები XVI საუკუნის მეორე ნახევარში.
3. ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ 1921-24 წლებში.

საგამოცდო საკითხები საქართველოს ისტორიაში ბაკალავრიატის ყველა სპეციალობაზე შემსვლელთათვის

1. საქართველოს ისტორიის საგანი და ამოცანები.
2. საქართველოს ისტორიის დამხმარე დისციპლინები.
3. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები (დიაოხი, კოლხა).
4. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი.
5. ბერძენი მწერლების ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ.
6. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობა.
7. წარმართობა საქართველოში.
8. ანტიკური ხანის ქართული კულტურა.
9. საქართველო ჩვ. წ. აღ.-მდე II-I საუკუნეებში.
10. საქართველო ჩვ. წ. აღ. I-III საუკუნეებში.
11. პირველი ქრისტიანული თემები საქართველოში.
12. ადრეფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება III-IV საუკუნეებში.
13. ქართლის (იბერიის) და კოლხეთის მეზობლები I-IV საუკუნეებში.
14. ქართლისა და ეგრისის გაქრისტიანება.
15. ქართლის გაქრისტიანების შესახებ არსებული წყაროები.
16. ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის პირველობისათვის კავკასიაში IV-V საუკუნეებში.
17. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს.-ის II ნახევარში.

18. ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა (კათალიკოსობის დაწესება).
19. ასურელი მამები.
20. ქართლი და ეგრისი VI ს.-ის I ნახევარში. დიდი ომიანობა ეგრისში.
21. ქართლი და ეგრისი VI ს.-ის II ნახევარში.
22. დიდი საეკლესიო განხეთქილება ამიერკავკასიაში. დიოფიზიტური ქართლის დაპირისპირება მონოფიზიტურ სომხეთთან.
23. ბიზანტიის იმპერია და VII ს.-ის საქართველო.
24. არაბთა პირველი შემოსევები საქართველოში.
25. მურვან ყრუს ლაშქრობები. წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე.
26. საქართველოს ეკლესია არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ.
27. ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა VIII-IX საუკუნეებში.
28. ქართული კულტურა IV-VIII საუკუნეებში.
29. სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობის შესახებ.
30. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის IX-X საუკუნეებში.
31. საქართველოს გაერთიანება XI საუკუნეში. ბაგრატ III.
32. საქართველო XI ს.-ის II ნახევარში.
33. ქართული კულტურა IX-XI საუკუნეებში. საზღვარგარეთული სამონასტრო ცენტრები (საბაწმინდა, სინას მთა, ათონი, შავი მთა).
34. თურქ-სელჩუკების შემოსევები საქართველოში.
35. წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი.
36. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.
37. საქართველო XII საუკუნის 30-50-იან წლებში.
38. საქართველო XII საუკუნის 70-90-იან წლებში (გიორგი III, თამარ მეფე).
39. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები.
40. სახელმწიფო მმართველობა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XII-XIII საუკუნეებში.
41. საქართველოს კულტურა XII-XIII საუკუნეებში.
42. მონღოლები და მონღოლთა შემოსევები საქართველოში.

43. ცოტნე დადიანი და დემეტრე თავდადებული.
44. საქართველო XIV ს.-ის I ნახევარში. გიორგი ბრწყინვალე.
45. საქართველო XIV ს.-ის II ნახევარში. თემურ ლენგის შემოსევები.
46. ალექსანდრე I და მისი რეფორმები.
47. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა.
48. საქართველოს ეკლესიის დაშლის მცდელობები XV ს.-ში.
49. შინაფეოდალური ომები XVI ს.-ის I ნახევრის საქართველოში.
50. ქართველი ხალხის ბრძოლა ირანელი და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ XVI ს.-ში.
51. საქართველო XVII ს.-ში.
52. წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, წმინდა მეფე ლუარსაბ II.
53. გაორებული ქართველი მოღვაწენი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში.
54. საქართველოს ეკლესიის ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში.
